

2009  
წლის ანგარიში



ქვეყნის  
თანამშრომლობის  
ფონდი

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დონორები

### \$ 100,000 მათი

ევრაზიის ფონდი (EF)  
შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID  
შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო SIDA  
BP  
კარნეგის კორპორაცია, ნიუ-იორკი  
ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში  
ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)  
ნორვეგიის მთავრობა  
დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამშრომლობის საქმეთა ოფისი (FCO)  
საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG)  
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

### \$ 100,000-მდე

პარტნიორობა ეკონომიკური განათლებისა და რესურსებისთვის (PEER)  
დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (DFID)  
CARE International კავკასიაში  
დანის ლტოლვილთა საბჭო (DRC)  
კანადის საელჩო თურქეთსა და საქართველოში  
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC)  
ევრაზიისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ეროვნული საბჭო (NCEER)  
ეროვნული საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი  
ეუთო (OSCE)  
Philip Morris/Altria  
Polish Aid  
რობერტ ბომის ფონდი/THK  
The Lodestar Foundation



პუბლიკაცია მომზადდა ამერიკელი ხალხის დახმარებით – შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით, ასევე შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. შესაძლებელია ფონდის შეხედულებები არ ემთხვეოდეს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.



გარემოს  
დაცვის  
აგენტობის  
ლოგო

**2009**  
წლის ანგარიში

## შინაარსი

ფონდის პროგრამული განლაგება და მიდგომები	3
თანამომენილუობა და სამომალაქო მონიტორინგი ცვლილვაგინათვის	4
გზა ვერონტებრასიისქე	8
ახალგაზრდების ინტებრასია	11
საქართველოში მადიის, როგორც გაკონტროლვებელი ინტეიტუტის როლის გაქლიერება	16
კორპორატიული სოციალური ინვესტიცია	18
სოციალური მფარმობა	21
ეკოლოგიური ბრანტების პროგრამა	23
საზღვრისპირა თანამორმლოვის პროგრამა	25
ეროვნული ინტებრასიისა და ტოლერანტოვის პროგრამა	26
„ღია კარის“ საბრანტო პროგრამა	27
კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CERRE)	32
ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ	37
მმართველოვითი საჭყო	40

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი  
ევრაზიის ფონდის სამართალმემკვიდრეა, რომელმაც  
1992 წლიდან აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა  
(USAID) და სხვა დონორების მხარდაჭერით  
სამხრეთ კავკასიაში პროგრამებსა და საგრანტო პროექტებში  
დაახლოებით 75 მლნ. აშშ დოლარი დააბანდა.

## ფონდის პროგრამული მანდატები და მიღობები

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მისიაა მიზნობრივი პროგრამების მხარდაჭერით ხელი შეუწყოს მოქალაქეებს, განახორციელონ ცვლილებები სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად.

ფონდი გრანტების მეშვეობით მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის განხორციელებას და ამავდროულად, თავადაც ახორციელებს მიზნობრივ პროგრამებს, რომელთა მიმართულებებიც განისაზღვრება ყოველწლიურად, ძირითად დონორებთან, პარტნიორებთან და საბჭოსთან კონსულტაციების საფუძველზე.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევრაზიის ფონდის ქსელის ნაწილია, რომელიც აერთიანებს ხუთ ადგილობრივ ფონდს: ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის, რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისას. ფონდი, ასევე, ევროპის ფონდების ასოციაციის (European Foundation Center) აქტიური წევრია და ამჟამად თავმჯდომარეობს ასოციაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ინტერესთა ჯგუფს (Grantmakers East Forum).

### მანდატები:

- ☰ სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა;
- ☰ ფაქტებზე დაფუძნებული კვლევების ხელშეწყობა საჯარო პოლიტიკის ფორმირების გაუმჯობესებისათვის;
- ☰ ადგილობრივი ფილანტროპიის განვითარების ხელშეწყობა.

### მიღობები:

- ☰ საზღვრისპირა თანამშრომლობა;
- ☰ „ღია კარი“, როგორც ფონდის ძირითადი საგრანტო ინსტრუმენტი.

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### თანამონაწილეობა და სამოქალაქო მონიტორინგი ცვლილებებისათვის

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამა „თანამონაწილეობა და სამოქალაქო მონიტორინგი ცვლილებებისათვის“ ხელს უწყობს სათემო ჯგუფების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების აქტიურად ჩართვას მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში.

პროგრამის ფარგლებში ფონდი აცხადებს საგრანტო კონკურსებს სხვადასხვა სფეროში. კონკურსების მიზანია, ხელი შეუწყოს 1) მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას პოლიტიკური რეფორმების მონიტორინგსა და შეფასებაში, 2) მონიტორინგის შედეგების შესახებ საჯარო დისკუსიების ჩატარებას, 3) პარტნიორული ქსელების შექმნას ახლად

შექმნილი და გამოცდილი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთმანეთთან დაკავშირების მეშვეობით.

2009 წლის ივნისში პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა საგრანტო კონკურსი „კანონმდებლობა მოქმედებაში“, რომლის მიზანიც იყო სხვადასხვა სფეროში გადანყვეტილებების მიღებისა და კანონის უზენაესობის დაცვის მდგრადი მექანიზმების შექმნა სამოქალაქო მონიტორინგის მეშვეობით. პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 2 ორგანიზაცია:

**ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი**  
და **გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრი.**



#### ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი

პროექტი: რუსთავსა და თელავში პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების გაუმჯობესება

**საქართველოს დემოკრატიული  
განვითარების კავშირი**

პროექტი: „გისმენთ თუ არა შთავრობა“  
(სოფ. ასკანა)



რეგიონებში ახლად შექმნილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრმა (CTC) და სამოქალაქო კულტურის ცენტრმა ფონდისაგან მიიღეს გრანტები თანამონაწილეობრივ მონიტორინგში, პრობლემის ანალიზსა და ადვოკატირებაში ტრენინგების ჩასატარებლად.

ამავე წლის ზაფხულში ფონდმა ჩაატარა ტრენინგები სამოქალაქო მონიტორინგსა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვაში. ტრენინგი ჩატარდა ორ ეტაპად: მონაწილეებისათვის დასავლეთ საქართველოდან და მონაწილეებისათვის აღმოსავლეთ საქართველოდან. ტრენინგი სულ 23-მა პირმა გაიარა. სამომავლოდ აღნიშნული ჯგუფი თავიანთი რეგიონების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ითანამშრომლებს და გადასცემს მათ შესაბამის ცოდნას სამოქალაქო მონიტორინგის გასაუმჯობესებლად.

2009 წელს ფონდის საგრანტო ღონისძიებების ძირითად მიმართულებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას შორის კონსტრუქციული დიალოგის მხარდაჭერა წარმოადგენდა. ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და თემების თანამშრომლობის შედეგად მოხდა გამოვლენილი პრობლემების ერთობლივად გადაჭრა. ფონდის მიერ გაცემული სამი გრანტის საშუალებით განხორციელდა შემდეგი პროექტები:

**საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის** მიერ განხორციელებული პროექტი ფოკუსირებული იყო ოზურგეთის მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვასთან დაკავშირებით ხალხის კონტროლის გაზრდაზე. პროცესში ჩართული იყო ადგილობრივი მედიაც. ადგილობრივ დამოუკიდებელ გაზეთში – „გურიის მოამბე“ – გამოქვეყნებულმა სტატიებმა ხელი შეუწყო მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ადგილობრივი ბიუჯეტის კონტროლთან დაკავშირებით და ასევე, ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ხარჯვას თემში გამოვლენილი საჭიროებების და მიხედვით. სოფლებში – ჯუმათი, ასკანა, ძვებო, ლიხაური, ურეკი და ბაილეთი – ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეაკეთა ინფრასტრუქტურა, გზები და წყლის სისტემები იმ რეკომენდაციების საფუძველზე, რომელიც მათ ადგილობრივმა მოსახლეობამ მიანიჭა.

**ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის** მიერ განხორციელებული პროექტი ასევე წარმატებული აღმოჩნდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის თანამშრომლობის კუთხით. გრანტის მიმღებმა ორგანიზაციამ ჩაატარა ტრენინგი ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რვა სოფელში. ტრენინგი ეხებოდა სათემო ჯგუფების ჩართვას რეგიონში არსებული პრობლემების გამოვლენისა და პრიორიტეტების დასახვის პროცესში. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში

## ეკრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზისათვის შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლების თემატური ჯგუფები, რომლებმაც საჯარო დისკუსიები გამართეს პირდაპირი ეთერით გადაცემულ თოქ-შოუებში.

აღნიშნულმა თოქ-შოუებმა ხელი შეუწყო ადგილობრივ მთავრობასა და სამოქალაქო ჯგუფებს შორის აქტიური დიალოგის დანერგვას, მუნიციპალიტეტის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ. პროექტის მეშვეობით გაუმჯობესდა ადგილობრივი სახანძრო სამსახურის მუშაობა, სასმელი წყლის მიწოდების მდგომარეობა; მოხდა უნარშეზღუდულ პირთათვის დახმარების სახლის შექმნის ინიცირება.

**საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციამ** თელავის, ლაგოდეხისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში ხელისუფლების საქმიანობის ეფექტური სამოქალაქო მონიტორინგი განახორციელა მონიტორინგის ეფექტურობა განპირობებული იყო თემებთან მუდმივი თანამშრომლობით, მათი ტრენინგებით, აქტიური მედია კამპანიითა და ხელისუფლებასთან დიალოგით. აღნიშნული მუნიციპალიტეტების 10 ახალგაზრდული სათემო ცენტრის 40-მა წარმომადგენელმა (მათ გაიარეს ტრენინგები საბიუჯეტო მონიტორინგსა და სამოქალაქო ინტერესთა დაცვაში) გამოავლინა და დააფიქსირა თემებში არსებული მწვავე

პრობლემები. სამოქალაქო მონიტორინგის შედეგად ხელისუფლებას სამივე მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში მოუწია ცვლილებების შეტანა მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით.

რეგიონულმა გაზეთმა **„კახეთის ხმამ“** მოქალაქეების აქტიური თანამონაწილეობით განახორციელა „რთველი-2008“ პროგრამისათვის გამოყოფილი სუბსიდიების ხარჯვის მიზნობრიობის მონიტორინგი. შედეგები სისტემატურად ქვეყნდებოდა გაზეთის სპეციალურ ჩანართებში. „კახეთის ხმამ“, აღნიშნული პროგრამის შესახებ საჯარო შეხვედრა მოაწყო სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ბ-ნ ბაკურ კვეზერელთან. გაზეთმა სამინისტროს წარუდგინა მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები.




**საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია**

პროექტი „ადგილობრივი ბიუჯეტი ხალხის სამსახურში“

## კახეთის სკა

პროექტი „ცენტრალური ბიუჯეტიდან პროგრამისათვის, რთველი-2008, გამოყოფილი თანხების სამოქალაქო მონიტორინგი“



პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა ადგილობრივი მედიის როლი რეგიონში მიმდინარე სამოქალაქო მონიტორინგის პროცესში; გაცილებით მეტმა მოქალაქემ მიიღო სანდო ინფორმაცია პროგრამის მნიშვნელოვან საკითხებზე; შეიქმნა ხელსაყრელი გარემო ადგილობრივი სათემო ჯგუფებისა და მოქალაქეების მზარდი სამოქალაქო აქტივობისათვის, რაც ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი საწინდარია

### „საქართველოს ჰიპერტენზიის კვლევის საზოგადოებამ“

განახორციელა პროექტი „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის გაუმჯობესება“. ორგანიზაცია მონიტორინგს უწევდა პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მიმდინარეობას საქართველოს სამ რეგიონში (თბილისი, კახეთი და იმერეთი). პირველადი ჯანდაცვის რეფორმის შესახებ რეკომენდაციების შემუშავებაში ჩართული იყო 178 ექიმი, 28 ფარმაცევტი და 208 ოჯახი. საინფორმაციო კამპანიები გაშუქდა გაზეთებით, ტელევიზიითა და რადიოთი. პროექტის დასასრულს გრანტის მიმღებმა ორჯერ წარუგდინა რეკომენდაციები ჯანდაცვის მინისტრსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს. რეკომენდაციების დიდი ნაწილი, რომელიც ეხებოდა გარდაცვალების მონიტორინგის გაცემის პროცედურების გამარტივებას, პირველადი ჯანდაცვის მომსახურების შესახებ უკეთესი ინფორმაციის მიღებას, ოჯახის ექიმებსა და პაციენტებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და

ექთნების როლის გაძლერებას, შევიდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მართვის შესახებ სამინისტროს ოფიციალურ სახელმძღვანელო დირექტივაში.

2009 წლის 3 დეკემბერს პროგრამის ფარგლებში მოეწყო მრგვალი მაგიდა, რომლის მიზანიც იყო სამოქალაქო მონიტორინგის კონკრეტული ასპექტების განხილვა, ასევე ხელისუფლებისა და დონორების მოსაზრებების გაცნობა სამოქალაქო მონიტორინგის შესახებ. შეხვედრაზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორცაა ხელისუფლებაზე სამოქალაქო დაკვირვება და მასთან დიალოგი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისა და მედიის თანამშრომლობის მნიშვნელობა მონიტორინგის პროცესში, სამოქალაქო მონიტორინგის ხარისხისა და შედეგების გაუმჯობესების მექანიზმები, მონიტორინგის ახალი მეთოდები და მიდგომები და ა.შ.

შეხვედრას ესწრებოდნენ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიის, ხელისუფლებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### გზა ევროინტეგრაციისკენ

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში, ასევე, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე. პროგრამა სამოქალაქო საზოგადოებას, მედიას, კერძო სექტორს, მთავრობასა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას სთავაზობს თანამშრომლობისთვის იდეალურ პლატფორმას ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისას.


ევროინტეგრაციის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების და ინფორმირებულობის დონის შესწავლის მიზნით, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა 2009 წლის ზაფხულში განახორციელა საბაზისო კვლევა. კვლევის შემუშავების პროცესში ასევე მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მთავრობის წარმომადგენლებმა და ევროინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებმა. მათ მიერ წარდგენილი რეკომენდაციების და კომენტარების საფუძველზე მომზადდა მაღალი დონის კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ

ქართულ საზოგადოებას რეალურად ესახება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესაძლებლობა და სრულიად უჭერს მხარს ამ პროცესს. ქართველებს აქვთ დიდი მოლოდინი, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია იქნება საფუძველი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. გამოკითხვამ ასევე აჩვენა, რომ მოსახლეობის სურვილია ჰქონდეს მეტი ინფორმაცია ევროინტეგრაციული პროცესის, ზოგადად ევროკავშირის, მისი ინსტიტუტების, კონფლიქტების მოგვარების, სავიზო რეჟიმების, საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

2009 წელს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ჩაატარა სამი მრგვალი მაგიდა ევროინტეგრაციისა და კონკრეტულად, ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობასთან (DCFTA) დაკავშირებულ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა ახლად ინიცირებული აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები, წარმოდგენილი იყო ასევე ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის – „ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ“ – საფუძველზე მომზადებული ანგარიში.

აღნიშნულმა შეხვედრებმა გამოავლინა კიდევ უფრო ფართო საჯარო დისკუსიების გამართვის

## რა სახის ინფორმაციის მიღებას ისურვებდით ევროკავშირის შესახებ?



საჭიროება სურსათის უვნებლობის საკითხებზე. მრგვალი მაგიდების შემდეგ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა მოამზადა დისკუსიების შემაჯამებელი საინფორმაციო ბიულეტენები, რომლებიც გაეგზავნათ ფორუმების დაახლოებით 300-მდე მონაწილესა და სხვა დაინტერესებულ პირებს. მრგვალი მაგიდები გაშუქდა როგორც ბეჭდვით მედიაში, ისე ტელევიზიებსა და რადიოში.

სურსათის უვნებლობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდის

მიზნით ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა 2008 წლის ბოლოს გამოაცხადა საგრანტო კონკურსი სურსათის უვნებლობასა და სტანდარტებზე. კონკურსის შედეგად დაფინანსდა ორგანიზაცია „**რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია**“. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროექტი „**სურსათის გაუმჯობესებული სტანდარტები და უსაფრთხოება საქართველოში**“ ემსახურება სურსათის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინფორმირებულობის გაზრდას სურსათის უვნებლობის სტანდარტებზე. პროექტის

**მრგვალი მაგიდა:** „აღმოსავლეთ პარტნიორობა: გამოწვევები და პერსპექტივები“. 23 ოქტომბერი, 2009 წ.



## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია საქართველოში სურსათის მწარმოებელი კომპანიების ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა და კატალოგის გამოცემა.

2009 წლის ნოემბერში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ტრენინგი ჩაუტარა 6 ჟურნალისტს. აღმოსავლეთის პარტნიორობის პრინციპებზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (DCFTA) ხელშეკრულებასა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებაზე ჟურნალისტებს ესაუბრნენ **ბ-ნი რობერტ ლიდელი**, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი და ბ-ნი **კახა გოგოლაშვილი**, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) დირექტორი.

საქართველოს ევროინტეგრაციის პოლიტიკაზე საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, ფონდმა დააფინანსა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 10 სატელევიზიო გადაცემის მომზადებას. გადაცემების თემები მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა სურსათის უვნებლობა, კონფლიქტების მოგვარება და სხვ. პროგრამები გაშუქდა ტელეკომპანია მაესტროზე და შემდეგ უკვე 20 რეგიონულ არხზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში (Eastern Partnership Civil Society Forum), რომელიც ევროკომისიამ 2009 წლის 16-17 ნოემბერს გამართა ბრიუსელში. ფორუმის მონაწილე ორგანიზაციებმა განსაზღვრეს აღმოსავლეთის პარტნიორობასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის გზები როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეზე. ფორუმზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ფონდი მოამზადებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP 6 – საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა და ბელორუსია) სოციალური დიალოგის კვლევის მონახაზს.

**ჟურნალისტების ტრენინგი.** 13 ნოემბერი, 2009 წ.





## ახალგაზრდების ინტეგრაცია

პროგრამა ახალგაზრდებს ეხმარება გაზარდონ თავიანთი შესაძლებლობები და აქტიურად ჩაერთონ თემის განვითარებაში. პროგრამა მოიცავს პროექტებს „ახალგაზრდული ბანკი“ და „გახდი მონაწილე“.

### „ახალგაზრდული ბანკი“

პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ ადმინისტრირება გაუწიონ მცირე გრანტებს (300-500 აშშ დოლარის ოდენობით), რომლებიც მიმართულია მათ თემებში ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელებისკენ.

„ახალგაზრდული ბანკი“ წარმოადგენს ახალგაზრდების ჯგუფს, რომელიც მართავს

მცირე მოცულობის საგრანტო თანხებს. აღნიშნული თანხები გამოყოფილია ახალგაზრდული ინიციატივების დასაფინანსებლად. პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდებში მოხალისეობის განვითარებას და საზოგადოებრივ საქმიანობაში მათ აქტიურ ჩართვას, ამავდროულად ეხმარება მათ მენეჯერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. 2009 წლის განმავლობაში 77-მა ახალგაზრდამ გაიარა ტრენინგი გრანტების მენეჯმენტში.

## ეკრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

2009 წელს ოთხ უკვე არსებულ ახალგაზრდულ ბანკს (ბათუმი, ზუგდიდი, მარნეული, ახალციხე) კიდევ რვა ახალი ახალგაზრდული ბანკი დაემატა. ოთხი მათგანი დაარსდა საქართველოს ნაკლებად განვითარებულ რეგიონში, სადაც ადგილობრივ ახალგაზრდობას პირადი განვითარებისათვის ძალიან მცირე შესაძლებლობა აქვს და თითქმის არ მიუწვდება ხელი განათლებაზე, ეკონომიკურ და საინფორმაციო რესურსებზე. ახალი ახალგაზრდული ბანკები დაარსდა ლატალში (ზემო სვანეთი), ოზურგეთში (გურია), ახმეტასა და დედოფლისწყაროში (კახეთი).

ტოლერანტობის ხელშეწყობისა და ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების უკეთ გაცნობის მიზნით ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში კიდევ ორი, ბოლნისისა და ასპინძის ახალგაზრდული ბანკი შეიქმნა. რუსეთ-საქართველოს ომის (2008 წ.) შედეგად, იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდებისათვის ორი ბანკი დაარსდა გორსა და წეროვანში.

გასული წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფებზე გაიცა 66 მცირე გრანტი. გრანტების ფარგლებში ჩატარდა საფეხბურთო ტურნირები სოციალურად



საქართველოს „ახალგაზრდული ბანკის“ პროექტის მონაწილეები. ფოტო ვანო თვაური



ოფორტიისა და გორის ახალგაზრდული ბანკის წევრები. ფოტო ვანო თვაური

იზოლირებული ახალგაზრდებისათვის, ხელნაკეთობათა საქველმოქმედო ბაზრობები მზრუნველობას მოკლებულ ბავშვების დასახმარებლად, მოხდა სკოლის ეზოების კეთილმოწყობა და დასუფთავება, დაარსდა ახალგაზრდული ბიბლიოთეკები საქართველოს ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში და სხვ.

ახალგაზრდული ბანკის მონაწილეები აქტიურად მონაწილეობენ მოხალისეობრივ საქმიანობებში. 2009 წლის ოქტომბერში ასპინძის ახალგაზრდულმა ბანკმა ხეები დარგო ასპინძის ცენტრალურ პარკში. აღნიშნული ინიციატივა განხორციელდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით. 2009 წლის ივლისში მარნეულის ახალგაზრდული ბანკის წევრებმა მოაწყვეს საგანმანათლებლო ღონისძიება, რომელიც ეხებოდა მოწვევასთან დაკავშირებულ რისკებს. ღონისძიება გაშუქდა მარნეულის ტელევიზიით. პროექტის ფარგლებში სამოქალაქო განათლების კუთხით მრავალი მსგავსი ღონისძიება ხორციელდება.

პროექტის წარმატებულ მიმდინარეობას ასევე ხელს უწყობს ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობაც. ახალგაზრდული ბანკის მიერ დაფინანსებული ექვსი ახალგაზრდული ინიციატივა მხარდაჭერილ იქნა ადგილობრივი ხელისუფლებებისა და სკოლების ადმინისტრაციებს მიერ. მარნეულის ახალგაზრდული ბანკის ენთუზიაზმისა და აქტიურობის დამსახურებით, გამგეობამ და საკრებულომ მარნეულის მუნიციპალური მთავრობის ბიუჯეტიდან გამოყო დამატებითი თანხები ახალგაზრდობის განვითარების პროგრამებისთვის.

2010 წლისათვის ფონდი კვლავ გააგრძელებს სამუშაო შეხვედრების გამართვას პროექტების მონიტორინგსა და შეფასებაზე ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. ახალგაზრდული ბანკის კომიტეტები დააფინანსებენ სულ მცირე 60 ახალგაზრდულ ინიციატივას (მაქსიმუმ 500 აშშ. დოლარის მიკრო პროექტებს).

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### „გახდი მონაწილე!“ – ახალგაზრდობის სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება

2009 წლის 18 თებერვალს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ხელშეკრულება გააფორმა თეოდორ-ჰეუს-კოლეგთან (THK) სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდობის სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებისათვის.

თეოდორ-ჰეუს-კოლეგი გერმანული ფონდის, რობერტ ბომ შტიფტუნგის და გერმანიაში დაფუძნებული საერთაშორისო ასოციაციის MitOst-ის პროგრამაა. პროექტი, რომლის სახელწოდებაცაა „გახდი მონაწილე!“ – ახალგაზრდობის სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება – უზრუნველყოფს

ახალგაზრდობისათვის პრაქტიკული უნარების შექმნის, პროფესიული და პიროვნული ზრდის შესაძლებლობას. „გახდი მონაწილე!“ ეფუძნება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის „ახალგაზრდული ბანკის“ პროექტს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში.

2009 წელს კონკურსის საფუძველზე მოხდა 25 ახალგაზრდის შერჩევა საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. შერჩეულმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სემინარებში, რომლებიც ეხებოდა პროექტის დიზაინს, მენეჯმენტსა და შეფასებას.



**პროექტის  
„გახდი მონაწილე“  
დაჯილდოების  
ცერემონია**

დეკემბერი, 2009 წ.  
ფოტო: გ. ბუხაიძე

აღნიშნული სემინარები ჩატარდა გასული წლის მარტში, სექტემბერსა და დეკემბერში. ახალგაზრდებს გადაეცათ მცირე გრანტები, კონფლიქტების მოგვარებისა და ნდობის აღდგენის კუთხით სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებისათვის.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის საქართველოს ოფისმა პროექტის „გახდი მონაწილე!“ ფარგლებში 3 ადგილობრივი და 2 საზღვრისპირა ახალგაზრდული ინიციატივა დააფინანსა:

1. „კონფლიქტის გავლენა საზოგადოებაზე“ (პროექტი ეხება დევნილთა პრობლემების უკეთ გაგებას საზოგადოებაში)
2. „შენ არ ხარ მარტო“ (10-დან 20 წლამდე ობოლი ახალგაზრდების გათვითცნობიერება სარისკო ქმედებების თავიდან ასაცილებლად)
3. „ახალგაზრდობა ახალგაზრდობისათვის“ (რუსეთთან ბოლოდროინდელი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული დევნილი ახალგაზრდების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია)

საზღვრისპირა თანამშრომლობის პროექტები:

1. „დიალოგის ხელოვნება“ (სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდობას შორის კულტურული ურთიერთგაგების ხელშეწყობა ხელოვნების მეშვეობით)



2. „ნაბიჯი გამჭვირვალე ცხოვრებისაკენ“ (ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდობის ინფორმირებულობის გაზრდა სამოქალაქო უფლებების შესახებ)

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი პროექტის წარმატებული საპილოტო წლის შედეგად 2010 წელსაც გეგმავს მის განხორციელებას. მოხდება 24 ახალგაზრდის შერჩევა საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან (8 ახალგაზრდა თითოეული ქვეყნიდან), რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამ სემინარში შემდეგ თემებზე: პროექტის განვითარება, პროექტის მენეჯმენტი და პროექტის შეფასება. სემინარებს ჩაატარებენ თეოდორ-ჰეუს-კოლეგის ტრენერები. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის თანამშრომლები სამივე ოფისიდან ასევე გაივლიან ტრენინგს თეოდორ-ჰეუს-კოლეგის მეთოდოლოგიაში. 2010 წლისათვის პროექტის ფარგლებში იგეგმება 10 ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსება, რომელთაგან 6 იქნება საზღვრისპირა, ხოლო 4 – ადგილობრივი.

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### საქართველოში მედიის, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლის გაძლიერება

ხარისხიან, პროფესიულ და დამოუკიდებელ ინფორმაციაზე საქართველოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 2009 წლის სექტემბერში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო პროექტი

**საქართველოში მედიის, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლის გაძლიერება.** პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია.

2009 წლის 4 ნოემბერს გაიმართა აღნიშნული პროექტის დაწყებისადმი მიძღვნილი გახსნილი

კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს ხელისუფლების, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, სამოქალაქო საზოგადოების, მედია საშუალებების და საგანამანთლებლო დანესებულებების წარმომადგენლები. კონფერენციაზე განხილულ იქნა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები:

- ქართული მედია სივრცის კვლევა (როგორც რადიო-ტელევიზიური, ასევე თვისობრივი მეთოდების გამოყენებით).
- ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის დაფუძნება, რომელიც უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევს მედიის



**პროექტის – „საქართველოში მედიის, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლის გაძლიერება“ კონფერენციის გახსნა**

4 ნოემბერი, 2009 წ.

სფეროში მომუშავე პროფესიონალებსა და იურისტებს და ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ცვლილებებს.

- საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება და მისი დაკავშირება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მედია ასოციაციასთან.
- ტრენინგების ჩატარება მედიის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და იურისტებისათვის საგამოძიებო ჟურნალისტიკის სპეციფიკასთან, მედია სამართლისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.
- საჯარო დისკუსიების მოწყობა ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით, სადაც განხილული იქნება ქართული მედიის მდგომარეობა.
- საგრანტო კონკურსების გამოცხადება საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროში.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა 2009 წლის აგვისტო-ნოემბერში განახორციელა ქართული მედია სივრცის კვლევა, რომელიც შემდეგი კომპონენტისგან შედგებოდა:

1. მოსახლეობის გამოკითხვა;
2. ფოკუს-ჯგუფები მედია საშუალებების მომხმარებლებთან;
3. ვრცელი ინტერვიუები მედიის სფეროში მომუშავე პროფესიონალებთან;
4. ქართული ტელეარხების მედია მონიტორინგი.



**პროექტის – „საქართველოში მედიის, როგორც მკვლევარული ინსტიტუტის როლის გაძლიერება“ კონფერენციის განხილვა**

4 ნოემბერი, 2009 წ.

კვლევის შედეგები წარმოდგენილი იყო ევროკომისიის მიერ 2009 წლის ნოემბერში ორგანიზებულ სემინარზე **„ევროკავშირი და საქართველო“**, რომელშიც მედიის სფეროში მომუშავე პროფესიონალები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. კვლევის ანგარიშში წარმოდგენილმა ქართული მედიის მდგომარეობის ანალიზმა დიდი ინტერესი გამოიწვია სემინარზე და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაყოფიერი დისკუსიის წარმართვაში.

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### კორპორატიული სოციალური ინვესტიციები

დღესდღეობით, ქვეყანაში ცენტრალიზებული სოციალური სამსახურების ფაქტიურად არარსებობის გამო, ბევრ კერძო კომპანიას სურვილი აქვს განავითაროს სოციალური ინვესტიციების პროგრამები. სოციალური ტიპის პროექტების განხორციელებისათვის, არამომგებიანი ორგანიზაციები კერძო სექტორისთვის ბუნებრივ პარტნიორებს წარმოადგენენ. თუმცა, კერძო კომპანიებს არ აქვთ გამოცდილება და საკმარისი ცოდნა, როგორ განსაზღვრონ პრიორიტეტები და ჩამოაყალიბონ სტრატეგიები სოციალური ინვესტიციების განსახორციელებლად; ხშირად ისინი არ ენდობიან პოტენციურ პარტნიორებს არამომგებიანი სექტორიდან, მეორეს მხრივ არამომგებიანი ორგანიზაციებს არ გააჩნიათ საკმარისი უნარები, მოიპოვონ საჭირო თანხები კერძო სექტორიდან.

პროგრამა პასუხობს სწორედ ზემოაღნიშნულ პრობლემას და როგორც კომპანიებს, ისე არამომგებიანი ორგანიზაციებს სთავაზობს ტრენინგებსა და საერთაშორისო კონსულტაციებს სოციალური ინვესტიციების სტრატეგიის შემუშავებაში. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს მუშაობას ადგილობრივ ბიზნეს სკოლებთან სასწავლო პროგრამებში შესაბამისი კურსის დანერგვის თაობაზე.

პროგრამა ასევე ეხება კერძო შემონირულობების შესახებ საქართველოს

კანონმდებლობას, რომელიც გარკვეულ ნაკლოვანებებს შეიცავს დაბეგვრის მექანიზმების კუთხით. პროგრამა ითვალისწინებს აღნიშნული კანონმდებლობის კვლევას, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად კონსულტაციების შემუშავებას და ლობირებას შესაბამის სამინისტროებთან და საპარლამენტო კომიტეტებთან.

2009 წლის 9 მარტს 12-მა ორგანიზაციამ ხელი მოაწერა დაინტერესების წერილს საქართველოში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებისა და პრაქტიკის გავრცელების შესახებ. ჯგუფში შევიდნენ შემდეგი ორგანიზაციები: ამერიკის სავაჭრო პალატა (AmCham), ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა, ბრიტანეთის საბჭო, გაეროს ინიციატივა „გლობალური შეთანხმება“, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (EPF), საფრანგეთის ბიზნეს საბჭო-საქართველო, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო (OSGF).

ჯგუფში შემავალი ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ ხელს შეუწყობდნენ



**დაინტერესების წერილის ხელმოწერის ცერემონია. 9 მარტი, 2009 წ.**

საქართველოს ბიზნეს პრაქტიკის ჰარმონიზაციას დასავლეთში მიღებულ სტანდარტებთან.

2009 წლის 25 ივნისს, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან პარტნიორობით, მოეწყო სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეხებოდა ორგანიზაციის მდგრადობის შესახებ ანგარიშგებას გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) პრინციპების შესაბამისად. ნახევარდღიან შეხვედრას უძღვებოდა ქალბატონი **აშტილდურ რუტენი**, გლობალური ანგარიშგების ინიციატივის უფროსი ექსპერტი. ღონისძიების მიზანი იყო, ქართული კომპანიები გაცნობოდნენ მდგრადობის შესახებ ანგარიშგების პრაქტიკას. სემინარში კერძო სექტორის 25-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

2009 წლის ოქტომბერში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა და ლოდსტარის ფონდმა ამერიკის სავაჭრო პალატასა და

საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან თანამშრომლობით გამართეს სემინარი სოციალური მენარმეობის მოდელებზე. სემინარის მომხსენებლებად მონაწილე იყვნენ: **ბ-ნი ჯერომ ჰირში**, ლოდსტარის ფონდის დამფუძნებელი და თავმჯდომარე, **ქ-ნი ლიზა ნიცშე**, სოციალურ მენარმეთა საერთაშორისო ქსელის – აშოკა, ვიცე-პრეზიდენტი, **ბ-ნი მეთიუ ბოუქოქი** – გაერთიანებული სამეფოს სათემო ფონდების ქსელის თავმჯდომარე და **ქ-ნი ფენელა როუზი**, გაერთიანებული სამეფოს ფილანტროპიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. მომხსენებლებმა ქართველ ბიზნესმენებს გაუზიარეს თავიანთი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სოციალურ მენარმეობის სხვადასხვა მოდელებსა და მიდგომებზე.

2009 წლის ნოემბერში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა, ბრიტანეთის საბჭომ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა,

## ეკრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები



სამინარი: სოციალური მენეჯმენტის მოღვაწეები. 27 ოქტომბერი, 2009 წ.

გაეროს ინიციატივა „გლობალურმა შეთანხმებამ“ და გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) ჩაატარეს ერთობლივი ტრენინგი ბიზნეს კომპანიების საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის მენეჯერებისათვის. ტრენინგის მთავარი მიზანი იყო, საშუალება მიეცათ კომუნიკაციის კუთხით მომუშავე 20 პროფესიონალისთვის (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კომპანიებიდან), ჩამოეყალიბებინათ სტრატეგიული კომუნიკაციები პასუხისმგებლობის მქონე

ბიზნეს პრაქტიკების საფუძველზე, შეემუშაებინათ სტრატეგიები კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრებისათვის კომპანიის საზოგადოებრივ იმიჯად, დაეკავშირებინათ ის კომპანიის ბრენდთან, ანგარიშვალდებულებასა და ანგარიშგებასთან.

ორდღიანი ტრენინგი ჩაატარა დოქტორ **უეინ ვისერმა**, აღიარებულმა ექსპერტმა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის და კომუნიკაციის სფეროში.

პროგრამის –  
„სოციალური მენარმეობის  
განვითარება საქართველოში  
პრეზენტაცია“  
6 ნოემბერი, 2009 წ.



## სოციალური მენარმეობა

2009 წელს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა დაიწყო ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სოციალური მენარმეობის, როგორც სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს მოდელის დამკვიდრებას. სოციალური სანარმოები წარმოადგენენ ორგანიზაციებს, რომელთა მუშაობასაც სოციალური მიზნები უდევს საფუძვლად და საქმიანობიდან მიღებული მოგების რეინვესტირებას ახდენენ ისევე თავიანთი სოციალური მიზნების მისაღწევად. სოციალური მენარმეობა ბევრ ისეთ კომპონენტს მოიცავს, რომელიც აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. მოგებაზე ორიენტირებული სტრატეგიის გამოყენებით, სოციალური სანარმოები ხელს უწყობენ სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკურ ზრდას.

პროექტის „საქართველოში სოციალური მენარმეობის განვითარება“ ინიცირება მოხდა Czech Fundraising Center-თან (ჩეხეთის რესპუბლიკა) და Resource Alliance-თან (გაერთიანებული სამეფო) თანამშრომლობით. 2009 წლის შემოდგომაზე ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, ფონდის პარტნიორები ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა ადგილზე შეესწავლათ სოციალურ მენარმეობასთან დაკავშირებული სიტუაცია. აღნიშნული კუთხით ქვეყანაში შემდეგი სიტუაციაა:

- ➊ არასამთავრობო ორგანიზაციებმა იციან სოციალური მენარმეობის არსი და სურვილი აქვთ ჩაერთონ შემოსავლების მომტან საქმიანობაში;
- ➋ არასამთავრობო ორგანიზაციებს არა აქვთ დაგეგმვისა და მენეჯმენტის უნარები;
- ➌ ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას გავლილი აქვს ათეულობით ტრენინგი, მაგრამ ეს ტრენინგები ნაკლებადაა ფოკუსირებული მიღებული ცოდნის გამოყენებაზე;
- ➍ არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად ორიენტირებულნი არიან გრანტების მიღებასა და მართვაზე და სამენარმეო საქმიანობაზე გადასასვლელად დასჭირდებათ დრო და მიზანმიმართული ქმედებები;

საქართველოში სოციალური მენარმეობის არსის და პრაქტიკის უკეთ გაგებისა და დამკვიდრების მიზნით, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა და ბრიტანეთის საბჭომ 2009 წლის 6 ნოემბერს გამართეს ერთობლივი პროგრამის „სოციალური მენარმეობის განვითარება საქართველოში“ პრეზენტაცია და საჯაროდ მოაწერეს ხელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. პარტნიორებმა სოციალური მენარმეობის კონცეფცია წარადგინეს სამინისტროებში, სამთავრობო ინსტიტუტებსა და თბილისის მერიამში. მთავრობის

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები



**ტრენინგი სოციალურ მენარმოებაზე**  
ბაკურიანი, 8-12 ნოემბერი, 2009 წ.

წარმომადგენლებმა მოიწონეს სოციალური მენარმოების იდეა, როგორც ეფექტური საშუალება მონეკლადი ჯგუფების ინტეგრირებისათვის ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

2009 წლის ოქტომბერში, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა გამოაცხადა კონკურსი სოციალური მენარმოების შესახებ ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსის შედეგად შემოვიდა 44 ორგანიზაციის განაცხადი. ჩეს პარტნიორებთან ერთად შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე ფონდმა ტრენინგში მონაწილეობისათვის 15 ორგანიზაცია შეარჩია.

ამავე წლის ნოემბერში ფონდის პარტნიორი ორგანიზაციების – Czech Fundraising Center-ის

და Resource Alliance-ის ექსპერტებმა გამარჯვებული ორგანიზაციებისთვის ჩაატარეს 5 დღიანი ტრენინგი სოციალურ მენარმოებაზე, დაბა ბაკურიანში. ტრენინგში მონაწილეობას იღებდა 30 ადამიანი (2 წარმომადგენელი გამარჯვებული ორგანიზაციებიდან). ტრენინგის ერთ-ერთი სესია დაეთმო სოციალური საწარმოების სტატუსს და საკანონმდებლო ბაზას საქართველოში. აღნიშნული სესია ჩაატარა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა. ტრენინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის და უნარების და ასევე, უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე მონაწილეებმა შეიმუშავეს იდეები, თუ როგორ უნდა გარდაქმნან თავიანთი ორგანიზაციები სოციალურ საწარმოებად. ტრენინგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სოციალური საწარმო ძალიან პრაქტიკულ მიდგომას წარმოადგენს სოციალურ სფეროში უკეთესი შედეგების და ასევე, ფინანსური მდგრადობის მისაღწევად.

2010 წლის თებერვალში, ფონდმა გეგმავს საგრანტო კონკურსის გამოცხადებას სოციალური საწარმოებისათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლება 2009 წლის ნოემბერში ჩატარებული ტრენინგის მონაწილეებს. საგრანტო თანხა შეადგენს 6000 აშშ. დოლარს თითოეული ორგანიზაციისთვის. გამარჯვებული ორგანიზაციის წარმომადგენლები გაემგზავრებიან ჩეხეთის რესპუბლიკაში, რათა ადგილზე გაეცნონ სოციალურ საწარმოებს.



ეკო-გრანტების პროგრამის ფარგლებში დაჯილდოვებული ორგანიზაციის მიერ გამოყვანილი ყვავილეები

## ეკოლოგიური გრანტების პროგრამა

პროგრამა ინიცირებული და დაფინანსებულია BP-ის მიერ, ნავთობისა და გაზის პროექტებში მისი პარტნიორი კომპანიების, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BCT Co.) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის (SCP Co.) სახელით. პროგრამის სრულ ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. BP-ისა და ფონდს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას 2008 წლის ბოლოს მოეწერა ხელი.

აღნიშნული პროგრამა ფოკუსირებულია თემების გაძლიერებაზე და ემსახურება მათი შესაძლებლობების გაზრდას არსებული ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მეშვეობით. შემოთავაზებული მექანიზმები მოიცავს: ინფორმირებულობის ამაღლებას, განათლებას, თემის მობილიზებას და ისეთი ეკონომიკური საქმიანობების მხარდაჭერას, რომელთა ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე მინიმუმამდეა დაყვანილი.

2009 წელს ჩატარებული საგრანტო კონკურსის საფუძველზე შემოსული 50-მდე განაცხადიდან ხუთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო გრანტი. დაფინანსების საერთო ოდენობამ 244 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. გამარჯვებულ პროექტები ორიენტირებული იყო გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაზე და ამავდროულად, ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობას პროექტის განხორციელებაში და ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2009 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციის „საქართველოს ტურიზმის ასოციაციის“ მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში (პროექტი მიზნად ისახავდა დაცულ ტერიტორიებზე სტაბილური და ბაზარზე ორიენტირებული ტურიზმის განვითარებას) ალგეთის დაცულ ტერიტორიაზე 2009 წლის

## ეკრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

ზაფხულში გაიკვალა და მარკირებულ იქნა ტურისტული მარშრუტები (მათი გავლა შესაძლებელია როგორც ფეხით, ისე ცხენებით) და მოეწყო საპიკნიკე ადგილი. მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები მარშრუტების რუკითა და მოკლე აღწერილობით, აგრეთვე საკონტაქტო ინფორმაციით. ბუკლეტებში ასახული ინფორმაციით დაინტერესებული რამოდენიმე ათეული ტურისტი სექტემბერ-ნომბერში უკვე ეწვია ალგეთის დაცულ ტერიტორიას და დატკბა მისი სილამაზით.

ეკოლოგიური გრანტების პროგრამის წარმატებული მიმდინარეობის გამო დონორებმა გადაწყვიტეს მისი გაგრძელება 2010 წელსაც. წელს პროგრამას დონორის სახით HSBC ბანკიც შეემატა, 15 000 აშშ დოლარის ფინანსური კონტრიბუციით. საგრანტო კონკურსის მეორე ციკლი გამოცხადდა 2009 წლის 2 ნოემბერს. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 51-მა ორგანიზაციამ, რომელთაგან დაფინანსებისათვის შერჩეულ იქნა 5 პროექტი.

### საქართველოს ტურიზმის ასოციაცია

პროექტი: „ბაზარზე ორიენტირებული ტურიზმის მდგრადი განვითარება საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე“





## საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის რეგიონის მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენას რეგიონული და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების და ინოვაციური იდეების ურთიერთგაცვლის მეშვეობით. პროგრამის საშუალებით იქმნება თანამშრომლობის ახალი ქსელები სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას, მედიასა და ბიზნეს სექტორს შორის.

2009 წელს საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა ოთხი მიმართულებით წარიმართა:

### „სამხრეთ კავკასიის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“

*პროექტის მიზანი:* სამხრეთ კავკასიაში საჯარო პოლიტიკის საკითხებზე ინკლუზიური და გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა.

### „სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების მიუკერძოებელი გაშუქება მედიაში“

*პროექტის მიზანი:* საზოგადოებისათვის სომხეთისა და აზერბაიჯანის ორმხრივ ურთიერთობებზე ზუსტი და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდების ხელშეწყობა.

### „სამხრეთ კავკასიაში საჯარო პოლიტიკის პოტენციალის გაზრდა“

*პროექტის მიზანი:* პოლიტიკის ანალიზის ხარისხის გაუმჯობესება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

### “Creative Commons პროექტი”

*პროექტის მიზანი:* შემოქმედებით საქმიანობაზე სალიცენზიო სისტემის ადაპტირება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების კანონმდებლობასთან.

პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით გერმანიაში დაფუძნებული ორგანიზაციის Creative Commons-ის ლიცენზიები ითარგმნა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და მოხდა მათი ადაპტირება ადგილობრივ საკანონმდებლო ბაზასთან. მომზადდა საინფორმაციო მასალები (ვიდეო კლიპი, პოსტერები, ფლაერები) ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. 2010 წლისათვის დაგეგმილია Creative Commons-ის ლიცენზიების პოპულარიზაცია და საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, რომელიც კოორდინირებულად წარიმართება სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში.

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამა

საქართველოში ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამის მიზანია საქართველოს მოქალაქეებს შორის ეროვნული ერთიანობის გრძნობის გაღრმავება. პროგრამა ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი პასუხისმგებელია პროგრამის საგრანტო კომპონენტზე. გრანტები გათვალისწინებულია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც არაქართველი წარმოშობის მოქალაქეებით დასახლებული ტერიტორიების განვითარებაზე მუშაობენ.

2009 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, რომელშიც გაერთიანებულია მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების ხედვა ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიღწევაზე. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, ამავე წლის ივლისში ევრაზიის

თანამშრომლობის ფონდმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის“ მიზნების განსახორციელებლად. კონკურსის შედეგად გრანტი მიიღო ოთხმა ორგანიზაციამ, ესენია:

1. მედიის განვითარების ფონდი
2. ფონდი ალპე
3. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
4. სამოქალაქო ინტეგრაციისა და შიდა ეთნიკური ურთიერთობების ცენტრი



პროექტი „ნავიჯი ტოლერანტობისაკენ“



### მედიცინის მუშაკთა ინიციატივა

პროექტი: „პაციენტთა უფლებების დაცვა სამოქალაქო მონიტორინგის მეშვეობით“

## „ლია კარის“ საგრანტო პროგრამა

ამ პროგრამით ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი მხარს უჭერს ინოვაციური და ზოგჯერ სარისკო პილოტური პროექტების განხორციელებას. ფონდს მიაჩნია, რომ პერსპექტიული იდეების მქონე აქტიურ ადამიანებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საზოგადოების ფართო ფენებზე.

აღნიშნული პროგრამის მეშვეობით ფონდი ხაზს უსვამს ადგილობრივი თემების, როგორც რეგიონებში ცვლილებებისათვის საჭირო მთავარი მამოძრავებელი ძალის როლის გაძლიერებას. „ლია კარის“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელია მათი მასშტაბების გაზრდა.

„ლია კარის“ საგრანტო მექანიზმი საშუალებას აძლევს ფონდს სწრაფად უპასუხოს ქვეყანაში წარმოშობილ ახალ მოთხოვნებსა და გამოწვევებს. 2009 წელს „ლია კარის“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში

მიმდინარეობდა 31 პროექტი. პროექტებით გათვალისწინებული აქტივობები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შედეგად დაზარალებულ პირთა სამოქალაქო რეინტეგრაცია, ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენა, სამოქალაქო აქტივობების მხარდაჭერა სვანეთში და ა.შ. იძულებით გადაადგილებული პირების გარკვეულმა ნაწილმა, რომელმაც ტრენინგი გაიარა ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ისწავლა რთული და კონკურენტული შრომითი ბაზრის პირობებში თავის დამკვიდრება. ზოგიერთმა მათგანმა დაფინანსება მოიპოვა მიკროსაფინანსო ინსტიტუტებიდან თავიანთი მცირე პროექტებისთვის. ლია კარის ფარგლებში დაფინანსდა ქართულენოვანი სახელმძღვანელოს გამოცემა „ფონდების მოძიების უნარების გაზრდის საჭიროება არასამთავრობო სექტორში“ (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტი).

## ეპრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### „ღია კარის“ პროგრამის ფარგლებში 2009 წელს მიმდინარე პროექტები:

#### 1. საქართველოს პროფესიონალ გულაუტარა და აუდიტორთა ფედერაცია

პროექტის სახელწოდება: „რეფორმის ხელშეწყობა ბუღალტერიისა და აუდიტის სფეროში“.

გრანტის ოდენობა: \$23,600

გრანტის ხანგრძლივობა: 06/01/2008-11/30/2009

#### 2. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

პროექტის სახელწოდება: „ერთი სარკმლის“ სისტემა ადგილობრივ თვითმმართველობაში“

გრანტის ოდენობა: \$45,661.00

გრანტის ხანგრძლივობა: 07/01/2008-01/31/2010

#### 3. პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი (საქართველო)

პროექტის სახელწოდება: „სოციალური ინტეგრაციის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა, უნარშეზღუდული პირების დასაქმების გზით“

გრანტის ოდენობა: \$25,000

გრანტის ხანგრძლივობა: 10/01/2008-05/30/2009

#### 4. ფონდი „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“

პროექტის სახელწოდება: „სამოქალაქო განვითარება ქვემო ქართლში ინფორმაციის გავრცელების გზით“

გრანტის ოდენობა: \$31,819

გრანტის ხანგრძლივობა: 06/01/2008-01/31/2009

#### 5. საქართველოს უსინათლოთა კავშირი

პროექტის სახელწოდება: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია საზოგადოებაში და ტოლერანტობის ხელშეწყობა“

გრანტის ოდენობა: \$13,873.25

გრანტის ხანგრძლივობა: 06/01/2008-08/14/2009

#### 6. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

პროექტის სახელწოდება: „ფონდების მოძიების უნარების გაზრდის საჭიროება არასამთავრობო სექტორში“

გრანტის ოდენობა: \$35,338.23

გრანტის ხანგრძლივობა: 06/01/2008-03/31/2009

#### 7. ფონდი „ალპა“

პროექტის სახელწოდება: „საზაფხულო სკოლა ადამიანთა უფლებებზე“

გრანტის ოდენობა: \$20,728

გრანტის ხანგრძლივობა: 06/30/2008-10/30/2009

#### 8. ქალთა ალიანსი – ჰერა

პროექტის სახელწოდება: „თემის ტრენინგი მკერდის ჯანმრთელობის შესახებ, ინფორმირებულობის გაზრდისათვის“

გრანტის ოდენობა: \$2,999.30

გრანტის ხანგრძლივობა: 08/01/2008-03/31/2009

„ღია კარის“ პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგად, 2010 წელს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი კვლავ აგრძელებს „ღია კარის“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში გრანტების გაცემას ფონდის ერთ-ერთი ძირითადი დონორის, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით.

**9. კავშირი „სტუდია მონიტორი“**

პროექტის სახელწოდება: „საგამოძიებო ურუნალისტიკა-ცენზურის წინააღმდეგ“  
გრანტის ოდენობა: \$36,875  
გრანტის ხანგრძლივობა: 10/01/2008-07/31/2009

**10. აღამიანთა უფლებების ცენტრი**

პროექტის სახელწოდება: „სასამართლო სისტემის მონიტორინგი საქართველოში“  
გრანტის ოდენობა: \$32,761  
გრანტის ხანგრძლივობა: 10/01/2008-10/10/2009

**11. ჩამი ხარაგაული**

პროექტის სახელწოდება: „თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობა დამოუკიდებელი გაზეთის განვითარების/ შექმნის მეშვეობით“  
გრანტის ოდენობა: \$27,013  
გრანტის ხანგრძლივობა: 07/01/2008-06/30/2009

**12. კახეთის ხმა**

პროექტის სახელწოდება: „ცენტრალური ბიუჯეტიდან პროგრამისათვის, რთველი-2008, გამოყოფილი თანხების სამოქალაქო მონიტორინგი“  
გრანტის ოდენობა: \$26,468.83  
გრანტის ხანგრძლივობა: 12/01/2008-09/30/2009

**13. ასოციაცია „ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“**

პროექტის სახელწოდება: „იძულებით გადაადგილებულ პირთა ტრენინგი – მომავალი ინყება დღეს“  
გრანტის ოდენობა: \$10,652.85  
გრანტის ხანგრძლივობა: 01/15/2009-01/14/2010

**14. კავშირი „სიძა“ – საქართველოს საგანგებულ საინფორმაციო ცენტრი**

პროექტის სახელწოდება: „ღირებულებები ძალადობის წინააღმდეგ“  
გრანტის ოდენობა: \$30,319  
გრანტის ხანგრძლივობა: 01/15/2009-07/14/2009

**15. სოციალური კვლევისა და აქტივისტების ანალიზის საერთაშორისო ცენტრი**

პროექტის სახელწოდება: „საქართველოს უნივერსიტეტებში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის პრინციპების ხელშეწყობა“  
გრანტის ოდენობა: \$27,408  
გრანტის ხანგრძლივობა: 02/10/2009-12/25/2009

**16. გორის რეგიონული საგანგებულ საინფორმაციო ცენტრი**

პროექტის სახელწოდება: „ახალგაზრდობა იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისათვის“  
გრანტის ოდენობა: \$7,550  
გრანტის ხანგრძლივობა: 03/10/2009-03/09/2010

## ეკრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### 17. მადრიცინის მუშაკთა ინიციატივა

პროექტის სახელწოდება: „პაციენტთა უფლებების დაცვა სამოქალაქო მონიტორინგის მეშვეობით“  
გრანტის ოდენობა: \$21,400  
გრანტის ხანგრძლივობა: 03/10/2009-05/09/2010

### 18. საქართველოს ქალ ჟურნალისტთა ასოციაცია-1991

პროექტის სახელწოდება: „ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა“.  
გრანტის ოდენობა: \$30.860  
გრანტის ხანგრძლივობა: 05/10/2009-04/30/2010

### 19. ფონდი ტასო

პროექტის სახელწოდება: „კარაღეთის ქალთა ცენტრი ძალადობასთან ბრძოლასა და სათემო განვითარებისათვის“.  
გრანტის ოდენობა: \$30.860  
გრანტის ხანგრძლივობა: 05/10/2009-07/15/2010

### 20. კავშირი „სპანეთის ტურიზმის ცენტრი“

პროექტის სახელწოდება: „ზემო სვანეთში მდგრადი სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“.  
გრანტის ოდენობა: \$20,963  
გრანტის ხანგრძლივობა: 05/15/2009-02/14/2010

### 21. უნარშეზღუდულ ადამიანთა კეთილდღეობის გარანტი

პროექტის სახელწოდება: „აუდიო ბიბლიოთეკა შიდა ქართლის უსინათლო პირებისათვის“  
გრანტის ოდენობა: \$13,703.18  
გრანტის ხანგრძლივობა: 05/19/2009-09/19/2009

### 22. ადამიანური რესურსების განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება: „ზემო სვანეთში მდგრადი სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“.  
გრანტის ოდენობა: \$34,890  
გრანტის ხანგრძლივობა: 06/01/2009-05/31/2010

### 23. კავშირი „ქართულ-აფხაზური შერაული ოჯახები“

პროექტის სახელწოდება: „ხიდის აშენება – ოჯახების გაერთიანება“  
გრანტის ოდენობა: \$43,671  
გრანტის ხანგრძლივობა: 06/01/2009-07/27/2010

### 24. ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი ცენტრი

პროექტის სახელწოდება: „2008 წლის აგვისტოს, საომარ მოქმედებებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია“  
გრანტის ოდენობა: \$26,731  
გრანტის ხანგრძლივობა: 10/01/2009-09/30/2010

### 25. სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი

პროექტის სახელწოდება: „ნარკომანიის, შიდსის/აივ ინფექციის, უსაფრთხო სექსისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულების შესწავლა“.  
გრანტის ოდენობა: \$38.000  
გრანტის ხანგრძლივობა: 06/05/2009-05/31/2010

**საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი**

პროექტი: „სვანეთი – სამთო ტურიზმის გზების სამყარო“



**26. საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი**

პროექტის სახელწოდება: „სვანეთი – სამთო ტურიზმის გზების სამყარო“

გრანტის ოდენობა: \$17.868

გრანტის ხანგრძლივობა: 08/25/2009-01/10/2010  
თბილისი საქართველო

**27. ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი**

პროექტის სახელწოდება: „შექმენი შენი მომავალი“

გრანტის ოდენობა: \$6,718

გრანტის ხანგრძლივობა: 10/01/2009-04/30/2010

**28. ასოციაცია „სტუდია რა“**

პროექტის სახელწოდება: „ქართულ-ევროპული გზაჯვარედინი“

გრანტის ოდენობა: \$42,229

გრანტის ხანგრძლივობა: 12/15/2008-11/14/2009  
თბილისი საქართველო

**29. საქართველოს ჰიპერტენზიის კვლევის საზოგადოება**

პროექტის სახელწოდება: „საქართველოში პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მონიტორინგი, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მართვის გაუმჯობესების მიზნით“

გრანტის ოდენობა: \$21,80.66

გრანტის ხანგრძლივობა: 03/03/2008-10/20/2009

**30. კავშირი BTKK – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი**

პროექტის სახელწოდება: „საერთაშორისო პოლიტიკის კურსი“

გრანტის ოდენობა: \$26,427.35

გრანტის ხანგრძლივობა: 03/01/2008-02/05/2009

**31. მოქალაქეთა კვლევის ეროვნული ცენტრი**

პროექტის სახელწოდება: „ქართველ მენარმეთა შეფასების მონიტორინგი“

გრანტის ოდენობა: \$18 000.47

გრანტის ხანგრძლივობა: 06/01/2008-03/20/2009

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC)

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის პროგრამა წარმოადგენს რესურსებისა და ტრენინგ-ცენტრების ქსელს თბილისში, ერევანსა და ბაქოში. ცენტრების მიზანია სამხრეთ კავკასიაში სოციალურ მეცნიერებებში კვლევებისა და პოლიტიკის ანალიზის განვითარება.

ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციას, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს, USAID-სა და ადგილობრივ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობით შექმნილი პროგრამა ფოკუსირებულია სოციალურ მეცნიერებებში მაღალხარისხიანი კვლევითი რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, შესაძლებლობების განმტკიცებასა და დიალოგის გაღრმავებაზე მკვლევარებსა და პრაქტიკული საქმიანობებით დაკავებულ პროფესიონალებს შორის.

### მონაცემთა ინიციატივა

მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური კვლევების სანდო მონაცემებს უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო პოლიტიკის სწორად წარმართვისა და საზოგადოების განვითარებისთვის, სამხრეთ კავკასიაში ასეთი მონაცემები ხშირად რთული მოსაპოვებელია. სანდო მონაცემების შეგროვება CRRC-ს ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2004 წლიდან მოყოლებული, CRRC-ს კვლევითი გუნდები სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ყოველწლიურად შეისწავლიან რეგიონის მოსახლეობის შეხედულებებს, ეკონომიკურ მდგომარეობას და შინამეურნეობების სტრუქტურას „მონაცემთა ინიციატივის“ ფარგლებში. „მონაცემთა ინიციატივის“ სრული დოკუმენტაცია და მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მკვლევარისათვის შემდეგ მისამართზე: [www.crrccenters.org/sda](http://www.crrccenters.org/sda). „მონაცემთა ინიციატივის“ გარდა, CRRC-ს მრავალი კვლევა აქვს ჩატარებული სამხრეთ კავკასიის მასშტაბით.



### **CRRC-ის უმცროს მკვლევართა პროგრამა**

CRRC-ის უმცროს მკვლევართა პროგრამა დაიწყო 2009 წელს. პროგრამა 5-6 თვიანია და შერჩეულ მკვლევარებს სთავაზობს ინტენსიურ წვრთნასა და მუშაობას, რაც უნიკალური შესაძლებლობაა სოციალურ მეცნიერებებზე ორიენტირებული ახალგაზრდებისათვის. მათ შესაძლებლობა ენიჭებათ აითვისონ ისეთი უნარ-ჩვევები როგორცაა რთული, კომპლექსური საკითხების სწრაფი და საფუძვლიანი ანალიზი, კომპიუტერული პროგრამების, მათ შორის სტატისტიკური პროგრამების ცოდნა.

უმცროსი მკვლევარები მონაწილეობას იღებენ რთულ კვლევით პროექტებში, წერენ ანალიტიკურ ნაშრომებს. მათ მოეთხოვებათ, იყვნენ გუნდის აქტიური წევრები და ბევრი იმუშაონ.

საქართველოში უმცროს მკვლევართა პროგრამის ფარგლებში 2009 წელს 400-მდე მსურველისაგან შეირჩა 5 მონაწილე. მათ გაიარეს ინტენსიური ტრენინგი 5-დან 10 თვემდე და იმუშავეს CRRC-ის კვლევებზე.

ამჟამად კიდევ 4 უმცროსი მკვლევარი აქტიურადაა ჩართული CRRC-ის საქართველოს ოფისის კვლევით პროექტებში.

### **მეთოდოლოგიური ტრენინგები და ლექციები**

CRRC-ის მეთოდოლოგიური ტრენინგების მიზანია ადგილობრივი მკვლევარების უნარ-ჩვევების დაახლოება თანამედროვე სტანდარტებთან და მათი უზრუნველყოფა პრაქტიკული შესაძლებლობებით, სტატისტიკისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების პაკეტების მიწოდებით. პროგრამა ხელს უწყობს კვლევის ეფექტურობის ამაღლებას და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის უკეთ გამოკვლევას.

საორიენტაციო ტრენინგები:

CRRC ასევე ატარებს საორიენტაციო ტრენინგებს ცენტრის მიერ შეთავაზებული კვლევითი რესურსების წარდგენისა და მათი ეფექტურად გამოყენების მეთოდების გაცნობის მიზნით.

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

### ბლოგები

2006 წლის ნოემბერში CRRC-იმ რეგიონული ბლოგი გახსნა. ბლოგის მიზანია მოკლედ გააცნოს კვლევების შედეგები მათ, ვინც დაინტერესებულია ამ რეგიონით, მაგრამ არ აქვს საკმარისი დრო, ყველა იმ საინტერესო კვლევის გასაცნობად, რომელიც CRRC-ში ტარდება. ბლოგზე ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია და კომენტარები, რომლებიც ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებში ქვეყნდება.

ბლოგის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: <http://crre-caucasus.blogspot.com/>

თავისი საკუთარი ბლოგი აქვს ასევე CRRC-ის სომხეთის ოფისს. იხილეთ ბლოგი შემდეგ მისამართზე: <http://crream.blogspot.com/>

### კვლევითი პროექტები:

2007 წლიდან CRRC-მ საქართველოში განახორციელა 27 სხვადასხვა კვლევითი პროექტი. აქედან, 17 – მხოლოდ 2009 წელს განხორციელდა.




კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ  
2009 წელს განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი:

1. SaferWorld – „თემის დაცულობის შესწავლა პოსტ-კონფლიქტურ გარემოში“  
სექტემბერი 2009 წ. – აპრილი 2009 წ.
2. Conciliation Resources – „კვლევა საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ“  
სექტემბერი, 2009 წ. – მიმდინარე
3. საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი (NORC)/ ათასწლეულის გამოწვევა საქართველო – „გამოკითხვები საერთაშორისო დახმარებისა და განვითარების შესახებ“  
ოქტომბერი, 2009 წ. – ივლისი 2010
4. ჰოლანდიის ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (NIMD) – „საკონსტიტუციო რეფორმის შეფასება საქართველოში“  
ოქტომბერი, 2009 წ. – იანვარი, 2010 წ.
5. PEER – „კრედიტებზე ხელმიუწვდომლობის გამოკითხვა“  
2009 წ. – 2010 წ.
6. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) – „პოლიტიკური კვლევისა და არჩევნების ანალიზის პროცესის გაძლიერება საქართველოში“  
ნოემბერი-დეკემბერი, 2009 წ.
7. თანამშრომლობა ეკონომიკური განათლებისა და კვლევისათვის (PEER)/ISET – „დისკუსიათა სერია: საქართველოში ეფექტური მმართველობის გამოწვევები“  
ივნისი-დეკემბერი, 2009 წ.
8. ევროკომისია/ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი – „მედიის კვლევა საქართველოში“  
სექტემბერი-დეკემბერი, 2009 წ.
9. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო/ეუთო – „დამოკიდებულება საერთაშორისო დახმარების მიმართ“  
ნოემბერი, 2009 წ.
10. CARE – „გამოკითხვა დევნილთა დასახლებებისა და მიმდებარე ტერიტორიების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად“  
ოქტომბერი-ნოემბერი, 2009 წ.

## ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამები

11. ევროკომისია – „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“  
ავგისტო-ოქტომბერი, 2009 წ.
12. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი – „გამოკითხვა საქართველოში აქციებისა და პოლიტიკის შესახებ“  
ივნისი, 2009 წ.
13. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) – „ფოკუს-ჯგუფები პოლიტიკოსებისათვის“  
მარტი, 2009 წ.
14. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი – „გამოკითხვა მსოფლიო ღირებულებების შესახებ“  
თებერვალი, 2009 წ.
15. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) – „კვლევა ამომრჩეველთა სიების შესახებ“  
იანვარი, 2009 წ.
16. GTZ – „კვლევა სამართლებრივი სისტემის შესახებ“  
იანვარი, 2009 წ.
17. დანიის ლტოლვილთა საბჭო – „კვლევა მიგრაციის საკითხებში მოსახლეობის გათვითცნობიერებულობისა და მიგრანტებისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ“  
დეკემბერი, 2008 წ. – იანვარი 2009 წ.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის  
პროგრამული ხარჯები 2009 წლისათვის



## ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის საქართველოს ოფისი  
/დარეგისტრირებული საქართველოში

### ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2008 წლისათვის

#### აქტივები

გრძელვადიანი აქტივები	2009	2008
ავეჯი და აღჭურვილობა	\$ 22,289	\$ 41,969
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>22,289</b>	<b>41,969</b>

#### მოკლევადიანი აქტივები

ფულადი სახსრები	\$1,656,535	\$790,560
დებიტორული ანგარიშები	3,706	5,196
მისაღები გრანტები და შენატანები	1,770,131	797,554
ავანსები	35,192	–
წინასწარ გადახდილი ხარჯები	15,883	14,344
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>	<b>3,481,447</b>	<b>1,607,662</b>

**სულ აქტივები \$ 3,503,736 \$1,649,631**

#### ვალდებულებები და წმინდა აქტივები

#### მოკლევადიანი ვალდებულებები

გადასახდელი გრანტები	\$404,128	\$405,041
დაკავშირებულ მხარეებთან		
გადასახდელი ანგარიშები	11,599	4,978
სამომავლო ამონაგები	–	25,140
სახელფასო და საშვებულებო		
დარიცხული ხარჯები	15,242	12,303
პროცენტი SIDA-გან	25,081	21,667
დარიცხული ხარჯები	24,140	–
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>\$ 480,190</b>	<b>\$ 469,129</b>

#### წმინდა აქტივები

შეუზღუდავი	\$ 26,349	(17,775)
დროებით შეზღუდული	2,997,197	1,198,277
<b>სულ წმინდა აქტივები</b>	<b>3,023,546</b>	<b>1,180,502</b>

**სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები \$ 3,503,736 \$ 1,649,631**



**GELMAN, ROSENBERG & FREEDMAN**  
CERTIFIED PUBLIC ACCOUNTANTS

**INDEPENDENT AUDITORS' REPORT**

To the Board of Trustees  
Eurasia Partnership Foundation  
Tbilisi, Georgia

We have audited the accompanying financial statements of the Eurasia Partnership Foundation (registered in Georgia) (EPF-Georgia), which comprise the statements of financial position as of December 31, 2009 and 2008, and the related statements of activities and changes in net assets, grant activities and cash flows for the years then ended, and a summary of significant accounting policies and other explanatory notes.

Management is responsible for the preparation and fair presentation of these financial statements in accordance with International Financial Reporting Standards. This responsibility includes: designing, implementing and maintaining internal controls relevant to the preparation and fair presentation of financial statements that are free from material misstatement, whether due to fraud or error; selecting and applying appropriate accounting policies; and making accounting estimates that are reasonable in the circumstances.

Our responsibility is to express an opinion on these financial statements based on our audits. We conducted our audits in accordance with International Standards on Auditing. Those standards require that we comply with ethical requirements and plan and perform the audits to obtain reasonable assurance about whether the financial statements are free from material misstatement. An audit involves performing procedures to obtain audit evidence about the amounts and disclosures in the financial statements. The procedures selected depend on the auditor's judgment, whether due to fraud or error. In making those risk assessments, the auditor considers internal controls relevant to EPF-Georgia's preparation and fair presentation of the financial statements, in order to design audit procedures that are appropriate in the circumstances, but not for the purpose of expressing an opinion on the effectiveness of EPF-Georgia's internal control. An audit also includes evaluating the appropriateness of accounting policies used and the reasonableness of accounting estimates made by management, as well as evaluating the overall presentation of the financial statements.

We believe that the audit evidence we have obtained is sufficient and appropriate to provide a basis for our audit opinion.

In our opinion, the financial statements present fairly, in all material respects, the financial position of EPF-Georgia as of December 31, 2009 and 2008, and its financial performance and its cash flows for the years then ended in accordance with International Financial Reporting Standards.

*Gelman Rosenberg & Freedman*

May 23, 2010

4550 MONTGOMERY AVENUE, SUITE 650 NORTH, BETHESDA, MARYLAND 20814  
(301) 951-9090 • Fax (301) 951-3570 • [WWW.GRFCPA.COM](http://WWW.GRFCPA.COM)

MEMBER OF CPAMERICA INTERNATIONAL, AN AFFILIATE OF HORWATH INTERNATIONAL  
MEMBER OF THE AMERICAN INSTITUTE OF CERTIFIED PUBLIC ACCOUNTANTS' PRIVATE COMPANIES PRACTICE SECTION

## მმართველობითი საბჭო

### ჰორტონ ბიბი-სენტერი

ევრაზიის ფონდი

### დიტერ ბოდენი

გერმანიის ყოფილი ელჩი ეუთოში

### ენდრიუ კოქშალი

KPMG

### დანიელ დელ მარმოლი

ბელგიის ყოფილი ელჩი საქართველოში, სომხეთსა და უზბეკეთში

### საბინ ფრეიზერი

კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი

### დევიდ ლი

შპს. მაგთიკომი

### დენიელ მეთიუსი

ბეიკერი და მაკკენზი

### მარგარეტ რიჩარდსონი

აშშ-ის შემოსავლების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი

### დენიელ ტარშისი

სტოკჰოლმის უნივერსიტეტი

### მერი შიჰანი

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

### როი საუსვორსი

საბჭოს თავჯდომარე, მსოფლიო ბანკის

წარმომადგენლობის ყოფილი

ხელმძღვანელი

### ჯონათან პატრიკ კონრად სტარკი

კასკად კაპიტალ ჰოლდინგი

### კენეთ იალოვიცი

აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოსა და

ბელორუსიაში, დარტმუტის კოლეჯი,

ჯონ სლოან დიკის ცენტრი

### ჯორჯ ზარუბინი

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი საქართველოს მრჩეველთა კომიტეტის წევრები არიან:

### კახა გოგოლაშვილი

ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC)

### ია თიკანაძე

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

### ზვიად ქორიძე

მედია ექსპერტი (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) და ჟურნალისტიკის კავკასიური სკოლა)

### თამარ საბედაშვილი

გაეროს ქალთა განვითარების ფონდი (UNIFEM)

### ბადრი ჯაფარიძე

თი-ბი-სი ჯგუფი



**ევრაზიის თანამშრომლობის  
ფონდის საქართველოს ოფისი**

კავსადის ქ. 3, 0179 თბილისი, საქართველო  
ტელ/ფაქსი: (+995 32) 22 32 64, 25 39 42/43

info@epfound.ge www.epfound.ge



**ევრაზიის  
თანამშრომლობის  
ფონდი**

**კავკასიის კვლევითი  
რესურსების ცენტრი CRRC  
– რეგიონული ოფისი**

3 კავსადის ქ., 0179 თბილისი, საქართველო  
ტელ/ფაქსი: (+995 32) 22 32 64, 25 39 42/43

www.crrccenters.org

ევრაზიის ფონდის ქსელი აერთიანებს ხუთ ადგილობრივ ფონდს: ახალი ევრაზიის ფონდი (რუსეთი), ევრაზიის ფონდი ცენტრალურ აზიაში, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (სამხრეთ კავკასია), აღმოსავლეთ ევროპის ფონდი (უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა) და ევრასიის ფონდი (ამერიკის შეერთებული შტატები). 1993 წლიდან ევრაზიის ფონდის ქსელმა \$ 360 მილიონზე მეტი ინვესტიცია განახორციელა ევრაზიის რეგიონის ადგილობრივ და საზღვრისპირა პროექტებში სამოქალაქო და ეკონომიკური ჩართულობის ხელის შესაწყობად.

ევრაზიის ფონდის ქსელის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <http://www.eurasia.org/>

